

დასაქმებულთა შრომითი უფლებები

საბანკო სექტორში

ნინო კვიციანი

იზა ცქიფურიშვილი

ნინო ბერიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის  
ადმინისტრირების ფაკულტეტზე საბანკო და საფინანსო საქმის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბაქრაძე, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## აბსტრაქტი

ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევა ეფუძნება დასაქმებულთა შრომით უფლებებს საბანკო სექტორში. აქცენტი გაკეთებულია საბანკო სექტორის როლზე საქართველოს ეკონომიკაში, საბანკო სექტორის განვითარებაზე და დასაქმებულთა პრობლემებზე. ვისაუბრებთ სტრუქტურულ გადანაწილებაზე, გენდერულ ბალანსზე, დასაქმებულთა ასაკზე, სამუშაო გარემოსა, ანაზღაურებასა და წამახალისებელ სისტემაზე.

კვლევა ეყრდნობა საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროს და სხვა უცხოურ წყაროებს. პარალელი გავავლეთ ქართულ და სხვა ქვეყნის ბანკების ოფიციალურ მონაცემებს შორის. ნაშრომში, ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობის გარდა, ასევე, რამდენიმე შეფასების საიტის ინფორმაციაა გამოყენებული. ჩავატარეთ გამოკითხვა, საქართველოში არსებულ კომერციულ ბანკებში დასაქმებულ პირებთან, რომელმაც მეტად თვალსაჩინო გახადა რეალური სურათი ქართულ საბანკო სფეროში.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შევიმუშავეთ გარკვეული სახის რეკომენდაციები, რომელიც მომავალში შრომით ბაზარზე არსებული პრობლემატიკის გამოსწორებას შეუწყობს ხელს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საბანკო სექტორი, დასაქმებულთა რაოდენობა, გენდერული ბალანსი, შრომითი ანაზღაურება, კოდექსი, სტატისტიკური მონაცემები, ბენეფიტები.

## **Abstract**

Research done by us is based on labour rights of employees in banking sector. We emphasized the role of banking sector in Georgian economy, development of banking sector and problems employees meet. We will talk about structural distribution, gender balance, employee's age, working environment, wages and bonus system.

Research is based on National Bank of Georgia, National statistics Georgia, Ministry of Finance of Georgia and other foreign sources. We paralleled Georgian and foreign Banks official data. Except for using official data, we used several evaluation site information. We designed survey for employees in banking sector and ultimate result showed us real picture in Georgian banking sector.

Taking into consideration current situation we worked out some recommendations. We think this will put the problems in working market to the right way.

Main searching words: Banking sector, Number of Employees, Gender Balance, Wage, Code, Statistical Data, Benefits.